№ 170 აგვისტოს 5, კვირა. 1866—1884 აგვისტოს 5, კვირა. № 170.

„დროების“ რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—მ; მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—8 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 6 მ თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

## „დროების“ ფასი აგვისტოს 1-დამ წლის დამლევამდე 4 მ. და 50 კ.

დღესასწაულის გამო სამშაბათს აგვისტოს 7-ს „დროება“ არ გამოვა.

### ჩაის ბუჩქის გაშენება ამიერ-კავკასიაში.

ამ სათაურით დაბეჭდილია «ნოვოე ვრემიაში» კარგა ვრცელი წერილი ნ. ზეიდლიცისა, რომელიც კავკასიის სტატისტიკურის კომიტეტის თავსმჯდომარედ ირიცხება თბილისში. იგი გატაცებით ლაპარაკობს ჩაის ბუჩქის გაშენებაზე ჩვენში და ამტკიცებს, რომ ეს საქმე ხალხისათვის კეთილ-დღეობის ნამდვილ წყაროდ შეიქნებაო. მოგვყავს აქ ეს წერილი თითქმის სრულიად:

„იმ ქვეყანაში, საცა იანვრის დამდეგს სასიამოვნოდ ჰყვავის სხვა-და-გვარი ვარდი და მშვენიერი ფერით მიმოკრთის ჩაის ბუჩქი Thea Bohea T. viridis, საცა ტყეში Cyclamen Coum ყველა ფერისა, თეთრიდამ დაწყობილი მაყვლის ფერამდე, ალაგ-ალაგ ლილოსთან ერთად მიწაზე ხავერდივით არის გადაფენილი; საცა სოხუმში ერთს მებაღეს ედგა ფორთოხალი, რომელიც ნოემბრიდამ შობამდე დატვირთული იყო დამწიფებული ნაყოფით და ეს ნაყოფი ხშირ და მდიდრულ ფოთოლთა შორის რიცხვით ათასამდე ესხა,—ამ გვარი კურთხეულს ქვეყანაში (შავის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაპირზე) განსაკუთრებული ყურადღება უნდა ჰქონდეს მიქცეული მებაღობასა და ბოსტნეულობას. და მართლაც, აგერ ჩქარა 40 წელიწადია, რაც მ. ს. ვარანცოვი იქმნა დანიშნული მთავარ-მმართებლად და დანიშვნის უმალვე ამ განათლებულის მოწყალმართის საზრუნველ საგნად შეიქმნა მებაღობა და გაშენება ამ მხარეში ჩაის ბუჩქისა, ლიმონისა და ფორთოხალის მცენარისა. ამ გვარის თითქმის ტროპიკულის კულტურის კვალი დღესაც კი შეინიშნება, თუმცა ძრიელ კი აღიხოცა სხვა-და-სხვა გაჭირებათაგან, რომელთა-შორის არა უკანასკნელი ადგილი უჭირავს ორკეცს მტრის თავს-დასხმას ამ მხარეზე.

ვარანცოვის სურვილის აღმასრულებელი მებაღობის გავრცელების შესახებ იყო ერთი ინგლისელი, გვარად მარი, რომელიც 1822 წლიდამ სცხოვრობდა ოჯახობით გურიაში და განსაკუთრებით ბუნებრივ სიმდიდრეთა ძიებითა და განვითარებით იყო გატაცებული. მან გააშენა თავის საკუთარის ბაღის გარდა, ერთი ბაღი კიდევ თავადის მამია გურიელისთვის, რომელიც უწინ გურიის მთავრად და მფლობელად ირიცხებოდა და რომლის სიკვდილის შემდეგ ბაღი ხაზინის ხელში გადავიდა. შემდეგ მარი, მდიდრულად დასაჩუქრებული თ. ვარანცოვისაგან ფულით ერთის კარგის ბაღისა და ფერმის გასაშენებლად ქ. ოზურგეთში, ოთხის წლის განმავლობაში შრომობდა და შესანიშნავი ბაღი გააშენა, რომელიც შეამკო ძვირფასი მცენარეებით, ევროპისა და აზიის სხვა-და-სხვა კუთხიდამ გამოწერილებით. მათ რიცხვში ბევრი იყო ლიმონისა და ფორთოხალის ხეები და ჩაის ბუჩქები, რომელთა რიცხვიც 200 აღიოდა.

აღმოსავლეთის ომის გათავების შემდეგ, ოზურგეთის ბაღში მხოლოდ 25 ჩაის ბუჩქი-ღა გადარჩა და რამდენიმე ლიმონის და ხილის ხე, რომელნიც, მარის რჩევით, 1857 წელს გარდაცვალებულმა თ. მიხ. ერისთავმა გადარგო თავის მამულ ბორაში, ჩახატაურის სტანციის ახლო, ოზურგეთის შოსეს გვერდზე, სადაც კარგად იხარეს და მის სიცოცხლეში მშვენიერად ჰყვაოდენ, თუმცა, ჩაის ფოთლების გახმობის უცოდინრობისა გამო, კარგის ღირსების ჩაის ვერ აწარმოებდენ. თ. მ. ერისთავის სიკვდილის შემდეგ კი ეს ბაღი, მარის დამენილი ხეხილითურთ, გადავიდა მისის შვილის ვარლამის ხელში, და მოუვლელობის გამო, ჩაის პლანტაციაც გაფუჭდა და გახმა, ორიოდ სამი ბუჩქის გარდა, რომელნიც აქ ისევე კარგად ხარობენ და მოაქვთ ნაყოფი, როგორც სოხუმის საქალაქო ბაღში. *) სამწუხაროდ ბედი ხვდა წილად აგრეთვე სხვა მეორე ბაღს გურიაში—ოზურგეთისას, რომელიც მდიდარი იყო ძალიან ტროპიკულის მცენარეებით. ეს გარემოება მაშინ მოხდა, როცა ბაღი ხაზინის ხელიდამ ოზურგეთის მცხოვრებელთ ხელში გადავიდა.

ჩაის გაშენების სარგებლობაზე ბევრს ლაპარაკობდა ჩვენში აგრეთვე ინგლისის კონსულად ნამყოფი თბილისში ბ. ლაიელი (Layace) **), რომელიც 15 წლის განმავლობაში ჩაის პლანტაციებს განაგებდა ინდოეთში და რომელმაც გამოგვიანგარიშა და გვი-

*) ეს ბაღი ეხლა ეკუთვნის თ. გ. ერისთვის უნცროს ძმას ანდრიას, რომელიც სამიოდე წელიწადია, ამ ბაღს ჰფლობს და განაგებს და ამ ხნის განმავლობაში ეს ბაღი უწინდებურად აყვავა და მშვენივრად გააშენა.

რედ.

**) ამ ინდოეთში ჩაის პლანტაციების მფლობელისა და ცამგებლის წერილი ამ საგნის თაობაზე გადმომცა მე მისმა შთამომავლმა ინგლისის წარმომადგენლობისამ კავკასიაში, ეხლანდელმა ბათუმის კონსულმა, ბ. პიკოკმა (Peacock)

ავტ.

«დროების» ფელეტონი, აგვისტო 5.

### საკვირაო ფელეტონი

მეხსომება, ჩემო მეგობარო, რომ ფილოსოფიურ საგნებზე აღგითქვი ლაპარაკი წარსულ კვირას, მაგრამ, საუბედუროდ, დღეს უნდა შევცვალო ჩემი პროგრამა და, ნურას უკაცრაოდ, თუ ფილოსოფიურს ვერას გეტყვი. მე დიდი სიამოვნებით აღვასრულებდი ჩემს აღნათქვამს, მით უმეტეს, რომ მე ბავშვობიდამვე დამყვა ფილოსოფიური მსჯელობისადმი მისწრაფება. მაგრამ ეს თვე ისეთი თვე არის, რომ არც მკითხველი და არც მწერალი ისე თავს არ მოიძულებენ, რომ ამ გვარ მსჯელობას გაჰყვნენ. ამ თვეში ყველამ კარგად იცის, რა ასიამოვნებს ჩვენ საზოგადოებას: კაკლის ხის ჩრდილი, მოჩანჩქარე წყარო, კახური ღვინო კულითა და ცივი წყალი სურითა, მცვრიანი მწვადი, ათას გვარი მწვანილი, იმერულად მომზადებული ბეჭი საწებლით და ამაზე კარგი კამპანია, ახალგაზდა ქალ-ვაჟთა კრება, სადღეგრძელოები (შევნიშნოთ ფრჩხილებში, რომ ჩვენ ეხლა-და-ეხლა ნორმალურს მდგომარეობაში კი არ გავახსენდება, არამედ, როცა შევზარხოშდებით, ანუ ისე დავითვრებით, რომ სხვა სულ ყველაფერი დაგვავიწყდება) —აი ამ კმაყოფილებას ჩვენი საზოგადოება უკვდავების წყაროზედაც არ გასცვლის. ამ დროს ფილოსოფოსები რომ შემოიყვანო ჩვენს თბილისში გასასყიდად, ავად შენი მტერია, ავი ფასი იმათ დასდონ. კონტში ერთს კონა ტარხუნას არ შემოგაძლევენ კაცს, სპენსერში გაჭირვებით დასტყუო ეგებ ტყემალში ამოვლებული ბეჭის ნათალი და ბეგელს ხომ ჩვენში სრულიად არ ექნება ბაზარი და გასავალი. ისევ, ვინიცობაა, განცხრომის მოძღვარს ეპიკურს დასდონ ეგებ ფასი და იმასაც ნისიად და იაფად მოითხოვენ,—ეგებ შემოდგომაზე, როცა მთელი საქართველო ღვინოდ გარდაიქცევა, მაშინ გამოილონ ამ კლასიკურ ფილოსოფოსში ერთი ან ორი ჩაფი ღვინო. მოგეხსენება, ჩემო მეგობარო, რომ ეპიკურის კატეხიზმო, რომელიც ქადაგებს—აჰყევ შენს ბუნებასაო, ძლიერ ზედ გამოჭრილად ადგება ჩვენს ზნეობას. ამ უკანასკნელ დროს, მაინც ყველა ჩვენგანი, სწავლული და უსწავლელი ამ ფილოსოფს მისდევს. თვით ის პირნიც, რომლებიც ათი-თორმეტი წლის განმავლობაში სულ ალტრუიზმოზე ლაპარაკობდენ და ალტაცებით წამოიძახებდენ ხოლმე: რაღად მინდა ჩემი თავი, თუ როცა სამშობლოს ნიადაგზე ფეხს შევდგამ, ორი სამი გაჭირვებული ვერ დავიხსენ და სიმწარის ოფლი ვერ მოვსწმინდე—აი ამისთანა კაცები დღეს მივარდნილან სადღაც კუნჭულებში და თრითინასავით შავი დღისთვის ჯამაგირს ხვეჭავენ, რომ თავისი თავი გამოიტანონ მხოლოდ. მას სრულიად დავიწყნია ის რომელზედაც სასწავლებლის სკამებზე ქადაგებდა; მისს მოძმეს, ურომლოდაც პურის გატეხა არ ესიამოვნებოდა, ურომლოდაც ერთს ფრაზას არ წაიკითხავდა, ერთს აზრს არ შეიძენდა, რომელთანაც ერთს სიმღლო სარწმუნოებას აღვიარებდა, ვამბობ აი ამ ამხანაგს სამ წელიწადში ერთჯერ არ ნახავს და წერილის მისაწერად სრულიად ველარ იცლის. რომ კიდევაც ხშირად შეხვდეს და წერილიც მისწეროს, რაზე უნდა ელაპარაკოს და ან რაზე უნდა სწეროს. დღეს მისი სული და გული გამოცვლილია. მაშინ თუ ალტრუიზმზე ლაპარაკობდა, მაშინ თუ გაჭირვებულებზე და ჩაგრულებზე ფიქრობდა, ეხლა მხოლოდ ეგოიზმზე, თავის თავზე და თავის ერთად ერთს საყვარელს პატოზე ფიქრობს. და ეს რომ მისწეროს თავის ძველს ნაცნობს ხომ სიკვდილი იქნება მისთვისაც და ნაცნობისათვისაც. ახლა იმას ჩვენი საზოგადოება და საზოგადოებრივი საქმე ფეხებზე ჰკიდია. ის თუნდ ეშმაკს ემსახურება, თუნდ ეშმაკის ანგელოზს, ოღონდ ორიოდე გროში აილოს და თავისი არსება დროებით შეინახოს და დაიფაროს მისდა საბრძოლველად მომართულს გარემოებაში. რას ჰქვია ქართული სკოლა, რას ჰქვია ქართული გაზეთი, რას ჰქვია ქართული თეატრი, ჰფიქრობს გაგარეგნებული ახალგაზდა. „დროებაში“ აბა რა მეცნიერული დაიწერება, რომ მისი კითხვით თავი შევიწუხოვო, «ივერია» რა ჟურნალია, რომ მისი ფურცლების შლაში დავალამო, თეატრში რომელი შეკსპირი, გიოტე და შილლერი, რომელი ოლრიჯი და როსსი დამატკბობსო.

აი ჩემო მეგობარო, ამ გვარი შეხედულობით ხელმძღვანელობს ზემოხსენებული გმირი, რომელსაც ნახევარი ცხოვრება გაუტარებია აგე-

თხრა, რომ 6000—8000 გირვანქამდე ჩაის მოგცემთ საქართველოში ერთი დესიატინა მიწაო.

(დასასრული იქნება)

## შინაური ქრონიკა.

— ფასანაურიდამ გვატყობინებენ ერთი ბიჭის მოკვლას, რომელიც სიკვდილს შემდეგ მდინარე არაგვში გადაეგდოთ. ეს ბიჭი დუშეთის მცხოვრები, სარქისაშვილი, მეტ სახელად «შუსტრა» ყოფილა. საცოდავი ოცდა-შვიდის წლის შუსტრა ყველასაგან საყვარელი ყმაწვილი იყოვო, ამბობს კორესპონდენტი, და სწუხს, რომ მკვლელები აქამდის ვერ გაუგიათ ვინ არიანო.

— მთიულეთიდგან ქირნახულს ემადლიერებიან და ამბობენ, რომ წელს შარშანდელზედ ნაკლები მოსავალი არ მოვა, თუ ამ გამუდმებულმა წვიმებმა, ცოტაც არის, მოგვასვენესო. თივის იმედი კი ძალიან ცოტა აქვსთ, რადგანაც ბალახი გაზაფხულზედვე სიცივეებმა გააფუჭაო.

— ქუთაისიდგან გვწერენ, რომ ტუსაღი ხაინდრავა ყარაულად მყოფს სალდათს თოფით დაუჭრია: ტყვია მოხვედრია პირში, ჩაუმტვრევია კბილები და თავში გაჩერებულა. «ამბობენო», — გვწერს კორესპონდენტი, — «რომ ხაინდრავას სხვა დანაშაული არა ჰქონია-რა, გარდა იმისაო, რომ ფანჯრიდგან გადმოუხედიაო.»

თუნდა ეს ხმა მართალიც არ იყოს, მაინც მეტი არ იქნებოდა, სასტიკი გამოძიება დაენიშნათ, რადგანაც აქ ციხის შესახებ ბევრი ცუდი ხმა ტრიალებს საზოგადოებაში და ანდაზა კი ამბობს: «ხმა ღვთისა და ხმა ერისაო.»

## «დროების» კორესპონდენცია.

**სოფ. იანეთი.** ივლისის 31. შეიძლება ყველასათვის არ იყვეს ცნობილი, როგორ ექცევიან ავადმყოფებს ამ ჩვენს მხარეში. ამისათვის მინდა გავაცნო «დროების» შემწეობით მკითხველებს აქაური წესები ამ საგნის შესახებ. ვსთქვით, გახდა კაცი თუნდ ქალი ავად. ერთი დღიდგან ერთს ან ორ კვირამდე შეიძლება ამყოფონ იგი სახლში, სადაც ჯერ კიდევ არ ერიდებიან, მაგრამ აგერ ორი კვირაც გავიდა და ავადმყოფი ისევ იმ დღეშია: ან ახველებს ან სიცხე აქვს ან ჭვალების გამო იტკივებს რასმეს. ავადმყოფებს მოუღობავენ კარავს ვენახში ან ყანაში, რომელიც უფრო მოშორებით არის სოფელზე, დააწვენენ შიგ და სიკვდილი იქნება თუ სიცოცხლე იქ უნდა ელოდებოდეს უბედური. ავადმყოფთან თუ ისეთი ვინმე არ ჰყავს რომ იყოს მასთან და არაფერს არ მოერიდოს, დაიქირავებენ ისეთ კაცს ყარაულად, რომელიც არ ერიდება ამისთანა ავადმყოფობას და რომელიც საყარაულოსაც ბლომად იღებს; ეს ყარაული უზიდავს ავადმყოფს საჭმელ-სასმელს და უვლის, ვიდრე ან ბოლო არ მოეღება ან არ გამობრუნდება.

წარმოიდგინეთ, სოფელში ავადმყოფის მდგომარეობა, რომელსაც ყოვლად უმეცარი დედა-კაცი გალესილ წამალს ასმევს, ექიმის ან აფთიაქის წამალს თვალითაც არ დაანახვებენ და ამას გარდა კიდევ საბრალოს აშორებენ ყოველსავე ნათესავებს და ნაცნობებს და მიჰყავთ იმისთანა ადგილას, სადაც კარგა მყოფსაც შიში უნდა ჰქონდეს.

ამგვარი ჩვეულება და წესი რომ ნამდვილად არსებობს, ამის დასამტკიცებლად მოვიყვან ერთს შემთხვევასა, რომელიც წასრულს ზამთარში მოხდა:

ამ სოფელში სცხოვრობდა ერთი პატარა ყმაწვილი, რომელსაც დიდი ხანი არ იყო, რაც მამა მოკვდომოდა. ეს ყმაწვილი იყო ბიძასთან, რომელიც იქვე ახლო ესახლა. რადგანაც პატარას დედ-მამის ხელი ეჭირვებოდა, რომელნიც ასე ადრე დახოცოდა და ბიძა ისე ვერ უვლიდა როგორც წესი იყო, ყმაწვილს მხოლოდ ოდნავ ახველებდა, მაგრამ ხმა დაუგდეს ვითომც გადამდების სნეულებით ყოფილიყო ავად, ეუბნებოდენ რომ უნდა გაგხიზნოთ ცალკე კარავშიო.

საწყალ ყმაწვილს გული უკვდებოდა და ეუბნებოდა ნათესავებს, რად უნდა გადავეხიზნო, როდესაც მე ისე ავად არა ვარ, რომ გადასახიზნი მიჭირდეს რამეო, მაგრამ ვინ უჯერებდა. ჯერ ვიღაც ერთს ცრუ ექიმს მიაბარეს მოსარჩენად და ოცდა-ხუთი მანათი უნდა მიეცათ საექიმო. წაიყვანა ექიმმა, მაგრამ იმისმა წამალმა არამცთუ არგო, უფრო უარესი დამართა. შემდეგ მოიყვანეს შინ და მოუღობეს კარავი თავის ვენახში, დააყენეს საყარაულოდ თავზე ვიღაც ერთი კაცი. ავადმყოფი ისე არ იყო ჯერ დასუსტებული, რომ არ შეძლებოდა თავის თავის მოვლა. ამას შეეძლო გავლა-გამოვლა, ჯანზედაც კარგად იყო. მის ავადმყოფობას შეადგენდა მარტო ხველა, რომელიც გამარტოებას ავადმყოფი ისე შეეშინებინა, რომ გავლა-გამოვლისაც კი ეშინოდა. ეშინოდა იმისთვის, რომ რამ წამს დაინახავდენ სოფლის დედა-კაცები, მაშინვე წყევლას დაუწყებდენ — ამ სასიკვდილემ დაგვყუპა ყველაო. რადგანაც ამგვარ წყევლას ერიდებოდა, არც დადიოდა ავადმყოფი: ხან იჯდა, ხან იწვა. მაგრამ როცა ყარაული სხვაგან წავიდოდა და ამას მოუნდებოდა წყალი, მივიდოდა ახლო მეზობელთან და შორიდგან თხოვდა ტირილით: თუ ღმერთი გწამსთ, მადლი მიყავით, ნუ მომკლავთ წყურვილით, ერთი ლიტრა წყალი გადმომაწოდეთო, მეზობელი, არამც თუ წყალს არ მიაწოდებდა, გარეთაც არ გამოიხედავდა. ავადმყოფი წავიდოდა და გულ-მოწყვეტილი დაემხობოდა მიწაზე, ტიროდა და ამბობდა: ღმერთო! ან რად გამაჩინე და ან რად გამხადე აგრე ქვეყნის საზიზღრადაო!

ამ რიგად ტანჯვას ისევ ამჯობინა, რომ როგორმე მიეღოთ ქუთაისის საავადმყოფოში, სადაც იცოდა რომ ან სიკვდილი და ან სიცოცხლე დროზე ეღირსებოდა.

შეეხვეწა თავის ბიძას, რომელმაც სთხოვა მამასახლისს, რომ მოწმობა მიეცა, მაგრამ მამასახლისმა უარი უთხრა, ჩემი საქმე არ არისო, მე არ მაქვს ნება, რომ მოწმობა მივსცე ვალდებულ გლეხსაო და მიასწავლა მაზრის უფროსთან. მაზრის უფროსმა სამი თუმანი საავადმყოფოს ქირა წინდა-წინ გამოართვა ავადმყოფის პატრონს და ისედაც დაღონებული და დასუსტებული ყმაწვილი წაიყვანეს ფეხით ქუთაისში. მიიღეს საავადმყოფოში, მაგრამ შორის მოგზაურობამ

---

რაც და არც ერთს ჩვენს საკუთარს დაწესებულებაში ფეხი არ შეუდგამს. ამ გვარად დღეს ის კაცი, რომელიც თვით ჰფიქრობდა შეექმნა ცხოვრების წყარო, რომელსაც უნდა გაეჩინა ჩვენი საზოგადოებისათვის გონივრული გასართობი და თავის შესაქცევი საქმე, დღეს ამ კაცს მოუსხამს „ბარიშნას“ ჩადრი და შესძახის ჩვენს ორიოდე ახალგაზრდას, რომელნიც სისხლის ოფლში იწურებიან აი ამათ ეუბნება კადრილში დატანცული დამასავით: გამართევით — «სკუჩნაობაო». o, Spes Jallax! დღეს ჩვენში ამ გვარი ახალგაზრდა ცოტა არ გეგონოს, ჩემო მეგობარო! ცხრა მეათედი ჩვენი ინტელიგენციისა სულ ამ გვარი პირებისაგან შესდგება.

— აბა რა დასაჯერებელია! შენ რაღაც პესსიმისტის თვალით უყურებ ყველაფერს მგონი, როგორც გეტყობა, ჩემო მეგობარო, — მითხრა მან, — თორემ შემდეგ ისეთი მაღალი მეცნიერებისა, რომელიც მათ მიიღეს, შემდეგ იმ იდეებისა, რომლებიც მათ შეითვისეს, ნუ თუ დღეს მაგ მდგომარეობამდის მიაღწიეს!

— აი, ბატონო, მაგალითი, — და დაიწყე: მთელს საქართველოში რამდენს ახალ-გაზრდას მიჩვენებ, რომ ითქმოდეს: ეს და ეს სწავლული, სინიდისიანი და განათლებული ადვოკატიაო, ეს პატიოსანი მცოდნე და მუყაითი პედაგოგიაო, ეს საზოგადოებისათვის თავ-გადადებული მშრომელიაო, ამან ქიმია იცის, ამან იურისპრუდენცია, ეს მწერალია, ეს მსაჯულიაო და სხვა. რატომ? მიტომ, რომ უცოდინარობასთან უენერგიობა და მოქალაქობრივი იდეალის სუსტად შეგნება აფუტუროებს ჩვენს ახალ-გაზრდობას. მაღალი და საშუალო სასწავლებლის კარებს გამოშორდება თუ არა, ჰგონია, რომ დაასრულა ცა და ქვეყნის მეცნიერება. ერთ წიგნსაც აღარ აიღებს, რომ ჩაიხედოს შიგ და ტვინის ძაფები ამოძრაოს. ან კი რად უნდა მეცადინეობა: ჩინოვნიკობას ისედაც იშოვის, ბანკში არჩევა კენჭის საქმეა და ჩვენს სკოლაში, რაკი სააზნაურო სკოლაა და სწავლაც ქართულს ენაზე მიდის, წიგნების კითხვა საჭირო არ არის, ლუარსაბის ნაანდერძევიც გვეყოფა. კითხვა მით უმეტეს არ არის საჭიროო, ამბობს პედაგოგი, რომ სააზნაურო სასწავლებელი ჯერ ორ-სამ კლასს არ ასცილებია, ამ კლასებისათვის ეტიმოლოგია-სინტაქსისის მოკლე კურსიც რომ წაიკითხოს მასწავლებელმა, ისიც კმარა ჯერ-ჯერობით და აი, როცა ჩვენი გიმნაზია მაღლა აიწევს, ლოღიკა, პსიხოლოგია და ფილოსოფია დაგვჭირდება, მაშინ მასწავლებლადაც შევალ შიგ და საშეცნიერო წიგნებსაც წავიკითხავო. მანამდის რომელი შავი ქვისათვის ვიკითხო მილლი, სპენსერი, კონტი, მონტი, ჭონტი! წამო, თუ ძმა ხარ, ერთი სტუკოლკა, ან შტოსი ვითამაშოთო. აი ასე სჯის ბევრი ჩვენგანი.

ამას გარდა, მაღალი სასწავლებელი რადგანაც გაუთავებია, ცოდვაა, რომ დაბალს განყოფილებაში დადგეს მასწავლებლად, რადგანაც უნივერსიტეტის დიპლომი, გაიგებს თუ არა, რომ მისი გაზრდილი დაბალ განყოფილებაში სადმე ასწავლის, იმწამსვე საჩივარს შეიტანს უნივერსიტეტის რექტორთან, ან მინისტრთან: როგორ აკადრეთ ჩემს მტარებელს ბავშვებთან მეცადინეობაო. მაგრამ მგონი იქ საჩივარიც არ დასჭირდება, აქაც იშოვის მფარველს. მე ვიცი ორიოდე პედაგოგი, რომელნიც დარწმუნებულნი არიან, რომ ორმოც-და-ათი პატარა უსუსური ყმაწვილების სწავლება, უფრო ადვილია, ვინემ ამოდენივე მოზრდილი ყმაწვილებისა. ბებია ჩემი კი ამ საგანზე სხვა შეხედულებისა იყო: ერთი უსუსურის გაზრდას ცხრა კოდი ფეტვის მარცვლის გახვრეტა სჯობსო, იტყოდა ხოლმე ცხონებული. ეს პედაგოგი კი ისე ფიქრობს: ბავშვებთან დიდი ცერემონია საჭირო არ არისო, მათ მასწავლებელს არც ბევრი განათლება უნდა და არც ბევრი ფულის მიცემაო. ლათინურის მასწავლებელმა რომ ორი მანეთი აიღოს გაკვეთილში, დაბალი განყოფილების მასწავლებელმა ათი შაური. ვაი სად არის, პესტალოცის არ ვიტყვი, ისე უბრალო გონიერი კაცი, რომ პირში ბურთი ჩაგჩაროს, როცა ამ გვარ სისულელეს დაიწყებ. ვანა სხვა ლოღიკა იმოქმედებს მაგგვარ კაცზე!

— ჩემო მეგობარო, ხომ არ მოგეწყინა? ვკითხე მე.

— ჩემმა მტერმა დაიწყოს შენთან საუბარი! ან გადააყრუებ და ან დაამუნჯებ შენ შენს მოუბარსაო, გაჯავრებით მიპასუხა ჩემმა მეგობარმა.

— ეს ერთიც გამიგონე დღეს და შემდეგ კვირისათვის სულ შენ გალაპარაკ, — ვსთხოვე მე.

ს—ნი.

უკურო დაასუსტა და ოთხის თუ ხუთის დღის შემდეგ სული განუტევა. ამ გვარად ჩაიარა ამ ავადმყოფობამ, რომლის შემდეგაც სოფლის მცხოვრებლები დაგარწმუნებდენ, რომ ის სწორედ გადამდები სენით იყო ავად.

დროა, რომ ერთი საშუალება მოიპოვოს საზოგადოებამ ამ საძაგელის ჩვეულების წინააღმდეგ. თუ სხვა არა შეიძლება-რა, ის ხომ ადვილია, რომ მთელმა სოფელმა ააშენოს ერთი სახლი საყდარის ახლოს, გამართოს ისე რომ ავადმყოფს შეეძლოს თავისუფლად დგომა შიგ, სანამდის მორჩებოდეს და მოსამსახურედ შეიძლება ის მონაზონები მისცენ ამ საავადმყოფოს, რომლებსაც წლიდგან წლამდი ინახავს სოფელი და რომლების რიცხვიც თითო საყდარში სამი ან ორი მაინც არის.

დასასრულ, ვისურვებთ, რომ ეს ჩვენი წადილი უყურადღებოდ არ გაეშვათ, როგორც მცხოვრებლებს, აგრეთვე ვისდამიც ჯერ არს.

იანეთელი

---

**აბასთუმანი**, ივლისის 20-ს. დადგა ზაფხული და მოუვიდა დრო გრილ ადგილებსა — დაჩებსა, რომლებიც აივსებიან ხოლმე სხვა-და-სხვა მხრის მცხოვრებლებით, მომეტებულად თბილისელებით. ეს უკანასკნელნი ისრე იფანტებიან ხოლმე აქეთ-იქით, იქაური სიცხე-პაპანაქებით შეშინებულნი, თითქო შაჰაბაზს, ან ალამახმადხანს დაუფორიაქებიაო. ამ გრილ აგარაკებში, უეჭველია, უმთავრესი ადგილი უნდა ეჭიროს აბასთუმანს, როგორც სამკურნალო და საგანგებო გრილ ადგილსა. მაგრამ საქმით სულ სხვასა ვხედავთ. როდესაც სხვა გრილი ადგილები გაივსნენ ხალხითა, აქ ძალიან ნაკლებად არიან მოსულნი. ვინც მოსულა, ისიც საზაფხულოდ — საგრილობელად მოსულა. ავადმყოფების რიცხვი კი კვლავინდელთან შედარებით მეტად ნაკლებია, როგორც ამბობენ აბანოს გამკენი.

მიზეზი ამისი გახლავსთ აქაური წყლების ღირსების დამცირება ვიღაც ექიმისაგან შარშან. ამ გარემოებამ უნაყოფოდ არ ჩაიარა, მოაკლო მუშტარი აბასთუმანს და ლამის მილიონობით ჩაფანტული ფული ამ აბანოს მშვენივრად მოწყობაზედ ყინულზედ გაიწეროს, მით უფრო, რომ ხან-დისხან ხალხი ცხვრის ფარასა ჰგავს და თუ ერთმა გაიწია, სხვებიც განურჩევლად მიჰყვებიან. ეს იყო მიზეზი, რომ ავადმყოფების რიცხვი კვლავინდელზედ ნაკლებია (ზოგნი და უფრო ყველა ძველებურის მაქებელნი ახალს მოწყობილობას ემდურიან, ვითომ ამ უკანასკნელის ბრალი იყოს, რომ წყალმა უწინდელი სამკურნალო თვისება დაჰკარგა). სიგრილის მუშტრები ხომ კვლავაც არ უნდა ყოფილიყვნენ ბევრნი და ვინც იყვნენ ხოლმე, ისინიც იმასა ჰფიქრობდენ, ბარემ აბასთუმანში წავიდეთ, სნეულებაც მოვიშოროთ და გრილადაც ვიცხოვროთო; ეხლა კი, რაკი ეს მიმზიდავი ძალა დაამცირეს, აქ წამოსვლით მეტის დახარჯვას, ამჯობინებენ ახლო სადმე წასვლას, როგორც, მაგალითებრ, კოჯორზედ, მანგლისზედ და სხვ. და ასეც მოხდა: ეს აგარაკნი აივსნენ ხალხითა და აბასთუმანში კი კვლავინდელის ნახევარიც ძლივს არის. ეხლა, რაც აქ ხალხია, მომეტებულად ახალციხელები არიან, ან კიდევ ისინი, ვისაც საკუთარი სახლები აქვს აქა.

უნდა კაცმა კი სთქვას, რომ აბასთუმანი სწორედ კარგი საცხოვრებელი ადგილია. წარმოიდგინეთ ვიწრო ღელე, აქეთ-იქით ატეხილი ფიჭვნაძვით სასიამოვნოდ შემოსილი მთები, ანკარა წყაროები და წყალი, სამოთხის ჰაერი და გრილი ჰავა. აქაურს სისუფთავეს ხომ ჩვენი თბილისელები სიზმარშიაც ვერა ნახვენ: ყოველი სახლის პატრონი ვალდებულია ყოველ დღეს დაგავოს თავისი კარ-მიდამო და გადაყაროს ნაგავი და, რაც უფრო საკვირველია, ერთი მეიდანია, თითქმის სულ განაპირას, სადაც დგებიან მგზავრი ფურგუნები და ფაეტონები, იმასაც კი ყოველ დღესა ჰგვიან. დაუმატეთ ამას მეტის-მეტი სიიაფე ყოველნაირი ხორაგეულისა, როგორც მაგ. კარგი დუდალი 25—30 კაპ-მდის, აბაზათ ოც-და-ექვსი და ოც-და-შვიდი კვერცხი, ვარია 10—15 კაპ. ზედიზედ ყიდვით კი შვიდ კაპეიკათაცა ჯდება ხშირად თითო, რძე იაფი—და ცხადად წარმოგიდგებათ ყველა გვარი სიკეთე აბასთუმნისა.

მაგრამ, როგორც ყველგან, აქაც გაჩენილან სიიაფეს მტერნი, — ესრედ წოდებულნი კაცის ჭამია ჩარჩები, რომლებიც არა ნაკლებ საქმეს სჩადიან დიდ ბაზარში ჩათესლებულ ბაყლებსა და კინტოებზედ. ამ ვაჭბატონებს სასწორი შიგ აბასთუმნის მისავალში გაუმართავთ და მასთან ორი დუქანი წამოუჭიმავთ, და ეს ორი დუქანი დღეს ბუდეა და ბუნაგი კინტო-ჩარჩებისა. მაივლის თუ არა რომელიმე გლეხი ქათმით, თუ ერბოთი, თუ სხვა ხორაგეულითა, გადაუდგებიან წინ და ეტყვიან, ნება არა გაქვს ზევით წაღებისა, აქ დადექი და გაჰყიდე, აი სასწორიო. საწყალი გლეხი კაცი ძალა-უნებურად ემორჩილება იმათ ბრძანებასა, ჩამოხდის საპალნეს სასწორთან და უცდის მუშტარსა, მაგრამ ორი-სამი ვერსიდგან მუშტარს რა მოიყვანს აქა, რადგანაც თითონ ბაზარი და უმეტესობა მცხოვრებლებისა მოშორებულები არიან. ამასობაში დღე ილევა და გლეხი ნატრულობს მუშტარსა და აპირობს ნახევარ ფასად გაყიდვასა, ოღონდ ღამე კი ნუ დარჩება უალაგო-ალაგას. ამ დროს გამოჩნდებიან მუშტრებად ეს ჩარჩები და, როგორცა სურთ, იმ ფასად ართმევენ გლეხ-კაცსა და გზავნიან შინისკენ გულ-ჩათუთქულსა. თითონ კი აიზურგავენ ნავაჭრს და გასწევენ ბაზრისკენ და ორ-შაურად ნასყიდ ვარიასა ჰყიდიან სამშაურად და აბაზად და ხან მეტადაც, თუ მუშტარს დაატყეს. რომ კეთილად ხმარობდენ ამ გვარად მონაგარს კიდევ იქნება მოენელებინა ადამიანს ამისთანა უსინდისობა, მაგრამ საქმე იმაშია, რომ იმავე დღესვე უნდა ჩასხდენ და შესჭამონ იმავე დუქნებში.

სახლები აქ ძვირებია, რის გამო ბევრი სახლის კარები ჯერაც მაგრა არის დაკეტილი კლიტითა და არჩევენ კიდევაც ასრე ეყარონ, ვიდრე იაფად მისცენ ვისმე. საზოგადოდ, რაკი გაუგიათ, რომ ყველაფერი ქირით უნდა გაიცეს ისრე არიან დაფაცურებულები, რომ წყლის ჭურჭელს არ გათხოვებენ უფასოდ წყლის დასალევად.

რაიცა შეეხება თვით აბანოებს, უნდა ვსთქვათ, რომ იგინი ძვირფასი მოწყობილობისანი არიან და წესებიც რიგიანი წესებია და კარგად დაცული. წყლის სამკურნალო თვისებას ჩვეულებრივ, ზოგი ემადლიერება და ზოგი მონდურავია, როგორც ხდება ეს ყველგან და ყველაფერში. მაგრამ არ შეიძლება არა ვსთქვათ, რომ ზოგიერთი აბანოს ბილეთი ცოტა არ იყოს ძვირად ღირს.

გიორგისძე.

---

## ტელეგრამები

(„ჩრდილოეთის სააგენტოსი")

აგვისტოს 4-ს

**პეტერბურგი.** გუშინ სპარსეთის შაჰის საგანგებო ელჩი იახია-ხანი წარსდგა მათ იმპერატორებით დიდებულებათა წინაშე და ამასთანავე მემკვიდრე ცესარევიჩს მიართვა შაჰის პორტრეტი, მოჭედილი ბრილიანტებით.

უცხო ქვეყნის გაზეთებში ნაამბობია მეტად გაზვიადებული ცნობანი იმ გამოძიების თაობაზე, რომელიც დანიშნული იყო სოციალურ — რევოლიუციონერთა საზოგადოების აღმოჩენის გამო, სწერდენ, ვითომ მრავალნი იქმნენ დატუსაღებულნი, იპოვეს დინამიტის და თოფ-იარაღის საწყობნი, რომ ვითომ საზოგადოებას დიდი პლანები ჰქონია დაწყობილი და ამასთანავე ამტკიცებდენ, რომ დატუსაღებულთა უმრავლესობა — რუსები არიანო. — „ჟურნალ დე სან პეტერბურგ"-ი ემყარება სარწმუნო ცნობათა და ჭეშმარიტების აღსადგენად ამბობს შემდეგს: ვარშავაში, მართალია, გამოძიება სწარმოებს ბოროტმოქმედთა საზოგადოების საქმის შესახებ, რომელსაც აზრად რევოლიუციური საგნები ჰქონია, მაგრამ ამ საქმის გამო დაჭერილთ რიცხვი მარტო 32; დინამიტისა და თოფ-იარაღის საწყობნი არ აღმოჩენილანო; უპოვნიათ თხზულებანი და პროკლამაციები შემაძრწუნებლის შინაარსისა; დატუსაღებულთ-შორის 3 მართლ-მადიდებელია, 21 კათოლიკე, 7 ურია და 1 კიდევ, რომელიც არც ერთს მოხსენებულ სარწმუნოებათაგანს არ ეკუთვნის.

ხმა ისმის, რომ ნება-დაურთავთ განაგრძონ იმიერ-კასპიის რკინის გზის გაყვანა ასხაბადამდე.

**მელსინგფორსი.** დღეს სენატში შეიკრიბება განსაკუთრებული კომისია, რომელმაც წინასწარვე უნდა განიხილოს სატამოჟნო ურთიერთობის საქმე რუსეთსა და ფინლიანდიას შორის.

**რომი.** აგვისტოს 14/2 გახდა ხოლერით ავად 6 კაცი, რომელთაგან 2 მოკვდა, ორი შემთხვევა ხოლერით ავად-გახდომისა კოზენცის თემის სამხრეთზე იყო; საავად-მყოფო მარინიანოში, საფრანგეთის საზღვარზე, გაუქმდა, რადგან ყველა ხოლერით ავად-მყოფი მორჩა.

**პარიჟი.** კენჭის ყრის გათავების შემდეგ 38 მილიონი ფრანკის სესხის თაობაზე ტონკინის ექსპედიციისათვის, პალატამ 173 ხმის უმეტესობით 150 წინააღმდეგ მოიწონა მხნეობა მართებლობისა ჩინეთთან შეტაკების გამო.

**მარსელი.** აქ მოკვდა ხოლერისაგან 18 კაცი; ტულონში 3; რამდენიმე გახდა ავად; აგრეთვე სხვა სახით დეპარტამენტებში.

---

## განცხადებანი

გამოვიდა

საბა-სულხან ორბელიანის

ლექსიკონი

ავტორის სურათით და იყიდება ანჩხატის ეზოში მღვდლის გრიგოლ მღებრიშვილისას.

ფასი ოთხი მანათი ადგილობრივ, ხოლო გაგზავნით ოთხი მან და ერთი აბაზი. (10—2)

---

ცხენის-რკინის-გზის მმართველობისაგან.

ვისაც ჰსურს დროებით იტვირთოს გამგებლობა თბილისის ცხენის-რკინის-გზით საქონლის გადაზიდ-გამოზიდვისა, მოიწვევიან ტორგით ვაჭრობაზედ აგვისტოს 14, საათის 12-ზედ გზის კანტორაში, მიხეილოვის ქუჩაზედ, სახლი № 163; დაწვრილებით კონდიციების გასინჯვა შეიძლება ყოველ-დღე 10—12 საათამდე. (3—3)

---

გამოვიდა და იყიდება:

**განკიცხული**

მოთხრობა

ა. მ. მოჩხუბარიძისა (ყაზბეგისა)

ფასი ათი შაური.

თბილისში, «დროების» რედაქციაში და ზ. რ. ჩარკვიანის მაღაზიაში.
ქუთაისში. ჭილაძის მაღაზიაში.
თელავში. ბ. როსტომაშვილთან.
ფოთში. ბ. ხუმარაძის მაღაზიაში.

## ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაის |
|---|---|
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1--40 | -- — 1—80 |
| — — 1--60 | — — 2— ,, |
| — — 1—80 | — 2 — 50 |
| საუკეთესო 2—,, | — 3 — ,, |

აქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, შუ-რჩელი, ჩაიდნები, გასალებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცისა და ქალისა, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხ-დის. (100—47)

სამკურნალოში, რომელიც თბილისის მოქალაქეთ დაარსეს სახსოვრად 4 აპრილისა 1866 წლისა, ავად-მყოფნი მიიღებიან დილის 8 საათიდამ 12 საათამდინ.

ყოველ დღე მიიღებენ ამ სამკურნალოში ავად-მყოფებს შემდეგი ექიმები: ტერ-გრიგორიანცი—8 საათიდამ 9 საათამდინ. საბებიო, საქალებო და საბავშვო ავადმყოფობის საწამლელად; ადამიანცი—9-დამ 10-საათამდე შინაგან და ნერვულ ავადმყოფობათა საწამლელად; ბენკლევსკი—10—11 საათამდე.—საქირურგო, სასიფილისო ავადმყოფობის წამლობისათვის და აგრეთვე კბილისა და ყურის ტკივილის საწამლელად; შტემბორსკი 11—12 საათამდე სიფილისისა და სხეულზე გამოყრილი მუწუკების წამლობისათვის. ამას გარდა: გარალევიჩი ორშაბათობით 9—10 საათამდე შინაგან ავადმყოფობას წამლობისათვის; კორონა ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის 10—11 საათამდე; მინკევიჩი სამშაბათობით და პარასკევობით 9—10 საათამდე ქირურგიული ავადმყოფობისათვის; ხამჩინსკი სამშაბათობით და შაბათობით 11—12 საათამდე თვალის ტკივილის საწამლელად; კრასნოგლიადოვი ორშაბათობით და პარასკევობით 10—11 საათამდე შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის; ვოლფსონი კბილის ტკივილის საწამლელად მიიღებს თავის სახლში ყოველთვის ღარიბ ავადმყოფებს, რომელთაც სამკურნალოდამ ბარათი ექმნებათ.

### ნაფიცი ვექილი

სერგეი ვასილის-ძე

## ჩემესოვი

გადავიდა საპიორის ქუჩაზე, ბაბანასოვის სახლებში (5—5)

### ქალაქის გამგეობა

ამით აუწყებს ბაყლებსა და ბაღის მეპატრონეთა, რომ მან აკრძალა შემოტანა თბილისში მკუხე ხილისა; ამისათვის სთხოვს ყველას, ვინც ხილითა ვაჭრობს, არ იყიდოს ამ გვარი ხილი, თორემ გამგეობა წაართმევს გამყიდველს და გადაჰყრის მას. (3—2)

### არწრუნისეულ ქარვასლაში

სასახლის ქუჩაზედ, იძლევა ქირით მაღაზიები, სადგურები კანტორებისა, სავაჭრო სახლებისა და საწყობებისათვის. პირობების შეტყობა შეიძლება ქარვასლის კანტორაში. (25—9)

### ბიბლიოგრაფიული განცხადება

**კონა** პირველ-დაწყებითი მოთხრობებისა ბუნების მეცნიერებიდგან, შედგენილი იაკობ გოგებაშვილისა, მეორე გამოცემა, შევსებული და შემკული სურათებით. ფასი ათი შაური. ვინც ერთად იყიდის ოცსა ან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობა 42 კაპეიკად.

**დედანი ქართული წერისა**, სასწავლებლებში სახმარებელი, შედგენილი მისივე, მთლად ამოითხარა ქვაზედ, იბეჭდება უკანასკნელი თაბახი და მზად იქმნება გასასყიდად პირველის აგვისტოსათვის. დედანი იპყრობს: სახატავებს, ხელის სავარჯიშოებს, ქართული ანბანის, ნაწილებს, მრგვალს ხელს, ორასზედ მეტი სურათით,—მრგვალი ხელი თავში მოთავსებულია ბადეში, შემდეგ ექვს მწოლარე ხაზს შუა, ოთხს ხაზს შუა, ორს ხაზს შუა, ერთს ხაზზედ და ბოლოს უხაზოდ,—ეს პირველი განყოფილება თავდება წვრილი მრგვალი და შუალა ხელით. შემდეგ არის დაბეჭდილი ნუსხური ჯერ გადაუბმელად, მერმე გადაბმით—მომსხო და წვრილი ხელი. ბოლოში არის დამატება, რომელიც იპყრობს თორმეტს ნიმუშს სხვა-და-სხვა ძველი საუკეთესო ნაწერებიდგან გადმოღებული ხელისას. ამას გარდა დედნის დასასრულში ჩართული იქნება ვრცელი დარიგება მასწავლებელთათვის. ფასი ექვსი შაური. სკოლებს და მაღაზიებს დედანი დაეთმობათ ხუთ შაურად, როცა იყიდიან ერთად ოცს ან მეტს ცალსა.

საწყობი—გრიქუროვის მაღაზია, კუკიის ხიდის ყურთან. (10—6)

PAPIER RIGOLLOT

БУМАГА РИГОЛЛО

ГОРЧИЦА НА ЛИСТАХЪ ДЛЯ СИНАПИЗМОВЪ

ПРИНЯТАЯ ВЪ ПАРИЖСКИХЪ ГОСПИТАЛЯХЪ

ВЪ ВОЕННЫХЪ БОЛЬНИЦАХЪ, ВЪ МОРСКОМЪ ФРАНЦУЗСКОМЪ И АНГЛІЙСКОМЪ КОРОЛЕВСКОМЪ МОРСКОМЪ ВѢДОМСТВАХЪ

Единственное средство, ввозъ котораго дозволенъ въ Имперію медицинскимъ совѣтомъ.

Принимайте за *НАСТОЯЩУЮ* **БУМАГУ РИГОЛЛО** лишь ту, листы которой имѣютъ поперегъ сію подпись **красною** краской.

*P. Rigollot*

*Продается во всѣхъ аптекахъ.*

ГЛАВНОЕ ДЕПО

24, Avenue Victoria

PARIS

Въ Парижѣ.

(32—19)

### ინგლისის მაღაზიაში

თმის-ამომყვანი მაკ-მასტერი



ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100—52)

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან., სნოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

### შენახვა ჩრჩილისა და ბუზანკალისაგან.

**ნაფტალინი** (ქაფური) **ჩრჩილის გამწყობი** წყალი, სპარსული და დალმატიური პარაშოკი, გუტპერჩის ტომრები ბეწვეულობის და შალის ტანისამოსის შესანახავად. პომადა მეტალთა დასაფერავად, საუკეთესო ფრანცუზული ვაქსა, გლიანც-სახამებელი, ლილა და სხვანი საოჯახო ნივთეულობანი ისყიდებიან თბილისში, საავთიაქო საქონლების სავაჭრო კავკასიის ამხანაგობაში. (70—43)

### მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 აგვისტოდამ 16 აგვისტომდე 1884 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა— | —1 | გირ. | 5 კ. |
| აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| მეორისა— — | —1 | გ. | 2 კ. |
| იმავე ფქვილ. თონეში გამომცხვარი: | | | |
| პირველი ხარისხის | —1 | გ. | $4^1/_2$ |
| მეორისა— — | —1 | გ. | 3 კ. |
| მესამისა — — | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| ჯვარის-მამი პური: | | | |
| პირველი ხარის. ლავაში | 1 | გ. | $4^1/_2$ |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | $3^1/_2$ |
| მესამისა — — | —1 | გ. | 3 კ. |
| ძროხის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | 8 კ. |
| მეორისა — — | —1 | გ. | 7 კ. |
| სუკი . . . | —1 | გ. | 15 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 | გ. | 8 კ. |
| ღორის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | — კ. |
| მეორისა — — | —1 | გ. | — კ. |

### რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით

თბილისიდამ მარტო ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზედ და 45 წამ. დილით.
(სამშაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. ღამ.)

ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.

ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილით.

ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილით.

ფოთიდამ დ ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამით.

მარტო ხაშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის
8 საათზედ დილით

ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.
(პარასკევობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)

Доз. ценз. Тифлисъ, 4 Августа 1884 г. სტამბა არ. კალანდაძისა და ამხ. გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი